

რედაქცია: სოლომონი, შალის ქუჩაზე, ბ. შალ-ნოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეჟი მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზა“.

გაზეთის ღირებულება: მთლიანი წლისა—8 მ., ნახევარი წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორგზაბათს გარდა

ზანი განცხადებისა: ღირსებით ასობე 1 კაპ., მატარათი—4 კაპ. ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

კატეგორიის დღესასწაულის გამო, ხვალ, შაბათს, გაზეთი არ გამოვა.

განცხადება

მამის კათივი განუცხადო თვინისის კათივიმულ ვაჭრებს, რომ ამ მოვითანე ვაკრიქი დამ ყოველ გვარი საქონლის ნიშნუხები, რომლებზედაც კი-ლებ ზაკაზებს კარბის პირობებით.

მსუკვლეთ უშუალოდ ნახონ მს ნიშნუხები უ. არწრუნის ქარვასლაში-№ 181, სადაც იქმნება გამოუვანი-ლი მოკლე ხნით. პარიჰის შირმა: Gilles et Iohan Chandons.

წარმომადგენელი ზ. იეზოვი. (12—9)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—შალის (სადრვის) ქუჩაზე, ბ. შალ-ნოვის სახლებში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღ-

ფელტონი

ისტორიის მასალა

(მაგრძელება *)

ამ გვარ უწყალოებას მოუმატეს მესხთ დიდებულთ, თავადთ, აზნაურთ და ეკკლესიების ყმა-მამულის გაწერა, ვისაც რა გააჩნდა: ზვარი, სოფლები, ციხე, კოშკი, ეკკლესია, მამულ-დედული, ძველის ძველი საგვარტმო გრამატები, სიგლები და შეწირულობის წერილები—სულ ერთიან ჩამოაკალეს და შოთაის (რომ შათი პირველი ისლამპოლია) არხივში გააგზავნეს. მხოლოდ მცირედი მამული დიუტოეს, რომ მითი თავს ვერცკი ირჩენდნენ.

მასთან მოსპვს სახელოვანთ თავად-აზნაურთ და დიდებულთ სახელ-წოდებები, რომ საზოგადოებაში პარადი დაშთენილი პატივისცემაც აღდრდათ და მის

*) „დროება“, № 128.

რგით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროზა“.

ზანი ნახევარი წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაზეთით—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კატეგორიის, 26 ივნისს. გაზეთს „რუსის პრავდაში“ იწერებინან. რომ ნიქტინოვგოროდში დენერალ-ლუბერნატორობა იქნება დაწესებულიო; ამ თანამდებობაზე ნიშნავენ გრაფ იგნატიევს.

გაზეთი „ბოლოსი“ გვაცნობებს, რომ გასული ომის სამხედრო ხარჯისათვის მმართველობამ 911 მილიონი მანეთი გადასდგაო.

რომი, 26 ივნისს. იტალიის კოროლმა ზუმბერტმა ახალი სამინისტროს შედგენა ქაიროლის მიანდო.

რუსიჰუქი, 25 ივნისს. ღღეს მოვიდა ბოლგარიის მთავარი. მარნაში და აქ დიდის ალტაცებით დაუხვდა იმას ხალხი ბოლგარიის მთავარი მუნდირით, უფესოდ გამოცხადა ხონთქარს სტამბოლში.

კატარო, 25 ივნისს. ულაშენისსამ-

ზღვართან შეტაკების შემდეგ მსმალრებმა ჩერნოგორიის სამზღვრისკენ დაიწიეს; ანტივარის დაიარაღებული მცხოვრებლები კი თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

კატეგორიის ბირჟა, 26 ივნისს

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 95—12
მეორე — — —	— 95—
მესამე — — —	— 95—
მეოთხე — — —	— 95—
აღმოსავლეთის პირ.	— 92—50
აღმოსავლეთის მეორე	— 92—37
აღმოსავლეთის, მესამე	— 92—
ოქრო, $\frac{1}{2}$ იმპერიალი	— 8—37
ოფიც. თავდა-აზნ:	ბანკის გირაოს ფურცელი — „ —

შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის	— 240—25
მეორე სესხის	— 235—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 23—71	პენსი
ამსტერდამი	— 119—75	ცენტის
ბერლინი	— — 202—75	ჰენრი
პარიჰი	— — 250—25	სანტიმი
პეტკასიის კერასინი	— „ —	

მაგიერად თვითოეულ პირთ მამის სახელები იწერებოდა, ანუ საკიცხად დარქმეული წოდებები: როგორც „ბოდერძეებს,“ „პროყინათ,“ „ისარლოებს,“ „მრუხი-ჭამიათ,“ „მოცოშვილებს,“ „შაფხა-ოლიანთ“ უძანდნენ. ამ რიგად მრავალი სახელოვანი გვარები დავიწყების შაფის ღრუბლით საუკუნოდ დაიხურნენ. მრავალნი აქეთ-იქით გარდინეწნენ, მრავალნი ვაჭრული ცხოვრებით დაკმაყოფილდნენ, და ვინც ვაჭრობას ვერ მოახერხებდა, გლეხობას და დღიურ მუშაობას მიჰყვეს ხელი, ქრისტიანიად დაშთენის გულისათვის.

რომლებსთვისაც მრავალი ყმა-მამულებიდან მცირედი დაუტოვებიათ, ისიც ჩამოუტკლიათ შემდგომში ნაირ-ნარი უბრალო მიზეზებით. ვინც სად გარდასახლებულან ერთის ადგილის ქალაქ-დებითგან სხვა ქალაქ-დებში ქრისტიანებთან მისაკედლებლად, იმათთვის მამა-პაპის მამული ჩამოუტკლიათ; ან თქვენ სამ-

შობლოშივე იცხოვრეთ მაჰამადიანებთან და ისე იუფლეთ თქვენ საკუთარ მამულ-დედულზედო, თუ არა და ქრისტიანეს არ ეკუთნის კანონითა ახალციხეს, მცხეს, ახალქალაქს იცხოვროს და აწყერისა, ბოკიისა და ღიღერის ნაქონ მამულებზედ კიდევ იუფლოსო. ასრე ჩამოუტკლიათ ჩვენებისთვის აწყერის ვენახები, მთერათთვის, შანდინაშვილებისთვის, ბოდერძათთვის და მისთანათა;—რა არის, ახალციხეს რად გარდახველით ქრისტიანებთანო!

თქმულია: ჯავახეთს თოკის სოფლის თავადს მრავალი მამული სოფლები ჩამოსკოლდა და მხოლოდ თოკის სოფელი დაშთენოდა სამკომოდ. ამ თავადმა ერთ დღეს წვეულობაში, როცა შეზარხოზდნენ, ამოძლო სახუმროდ თავის სატყვარი ქარქაშიდგან, სუფრასედ ამართა, და თქვა სიცილით: „ვინც ამ ჩემ სატყვარზედ ხელს ჩამოაგებს, ჩემ თოკის სოფელს იმას ვაჩუქებო!“

სამართლებლო

ურბის სდენა იმართში

დღევანდელს ნომერში მკითხველი ნახავს წერილს, რომლიდანაც შეიტყობს, რომ ზემო-იმერეთში და რაჭაში ურიებს ვეღარ გაუფლიათო, საცა კი დაინახვენ ჩვენებურები, დაიჭერენ, გაცარცვენ, ბევრს სცემენ, ხანდისხან დასჭრიანო და ისე უშვებენო.

ამ გვარი შეუბრალებლობა ურიებისადრეც იყო ჩვენში; ჩვენი ხალხი მაინც-და-მაინც არასოდეს არ ზოგავსებრავლს, თუ რასმე მოუხერხებს. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუთაისის ოკლის სასამართლომ გაამართლა ისინი გამოჩენილი სარჩა მოღებების საქმეში, ხალხი ერთობ გაბრაზდა იმათ წინააღმდეგ და მოსაკლავათაც აღარ ზოგავს.

ჩვენში დღესაც კიდევ დარწმუნებული არიან, მუთაისის პროცესის შემდეგაც, რომ ურიები აწვალენ ქრისტიანის ბავშს და, თუ ეს ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა, იმიტომ არ დამტკიცებულაო, რომ ურიებს ფული აქვთო, „ნოეს კიდობანს“ გახსნიან ყოველთვის ამ გვარს შემთხვევაშიო...

მს არის ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი იმ გარემოებისა, რომ ურიები ასე სძულს ჩვენს ხალხს, რომ იმათ ჩვენში ასე შეუბრალებლად სდევნიან. მაგრამ ამას გარდა ჩვენს ხალხს აქვს ურიების სიმძულვარის სხვა მიზეზიც, და ეს მიზეზი უფრო საუფუძელიანი მიზეზია, ვინემ ზემომოყვანილი.

მა მიზეზი გახლავთ ის, რომ ქრისტიანებისაგან დაჩაგრული ურიებიც თავის მხრითაც არავითარ ღონისძიებას არ ზოგავენ, ოღონდ კი ვაჭრობაში მიატყუილონ ხალხი და „კანონიერად“, აღებ-მიცემობის საშუალებით გასცარცვონ. მისაც მუთაისში და საზოგადოთ

ამ სიცილო-თარხალში წამოხტა ერთი ვინცლა ღვინო-მოკიდებული მისი ყმა, უშვილო, მიიჭრა და ხელის ნებიკი უცრად ჩამოაგო იმ სატყვარზედა! მისცივიდნენ აქეთ-იქითგან, ამოაღებინეს ხელი იმ კაცსა, შეუხვიეს და წაიყვანეს სახლში.

მოტა ხნის განმავლობაში ხელი გაუმრთელდა ამ კაცსა, მერმე შეუგზიზგიზეს მაჰმადიანებმა, ჩაველინეს ახალციხის ფაშასთან თუ არა, მაშინვე ჩამოაცალა ფაშამ ის სოფელი იმ თავადს და იმ კაცის ძმისწულებს მისცა, რომელთა მოდგმად ამბობენ აწინდელ ოკის-ბეგებსა. ამ თავადების სახელი და გვარი მარდის-ციხის ეკლესიაზედ წერებულა; მაგრამ ოკის-ბეგების წინაპართ ამოუფხეკიათ.

აი ამისთანა უბრალო მიზეზ-მუზეზობით გათავებულა საათაბეგოს სახელი, დიდება, მოყოლებული ათას ხუთასი წლობისა და უფროც მეტისა!

იმერეთში უცხოვრია, იმას ეცოდინება—თუ როგორ დაჩაგრული და შეწუხებული იმათგან განსაკუთრებით სოფლის ხალხი. მალაქა მუთაისში, მგონი, ორ ურიას ვერ ნახეთ, რომ უკანასკნელი ხუთას-ექვსას თუმნის შეძლება არ ჰქონდეს, და იმისთანებიც ხომ ბევრი მოინახება, რომელთაც ოთხას-ხუთასი და ათასი თუმანიც წელიწადში აქვთ შემოსავალი.

საიღამ, რა საშუალებით არიან ეს იმერეთის ურიები ასე გამდიდრებული? მაჭრობით, გაიძვერაობით, ხალხის მოტყუებით. შევლა ეს მდიდარი ურიები ერთ დროს სოფელ-სოფელ დაიარებოდნენ, სნე-და-სნეა წვრიმალის საქონელი, ფართალი დაჰქონდათ კარ-და-კარ და ამ ნაირად, სოფლის ხალხის მოტყუებით, ჯერ ორი სამი ათასი მანეთი შეიძინეს, მერმე ჩამოვიდნენ ქალაქში, გახსნეს დუქნები, მაღაზიები და დაიწყეს ვაჭრობა.

მაგრამ ვაჭრობა იმათ კიდევ იმდენ მოგებას არ აძლევს, რამდენსაც ფულის გასესება და, როგორც ჩვენში ამბობენ, „ურიული სარგებლის“ აღება. მაჭირებული კაცი თუ ჩაიგდეს ხელში და მანეთზე მანეთი გადახდევინეს წელიწადში, —სინიღისის გარეშე საქმედ არ მიაჩნიათ. რამდენი ვლენისა და თავად-ხნაურისათვის გაუყიდნიათ ამათ ადგილ-მამული თავიანთ ვალის ასაღებად, — ამას ვინ მოსთვლის...

შველა ამას რომ მივიღებთ მხედველობაში, ადვილად გავიგებთ, რომ ჩვენებურ ხალხს მაინც-და-მაინც მართლა არ უნდა უყვარდეს ეს წურბელასავით იმის გამოამწოვი ურიები. მს უფრო სოციალური, ეკონომიური სიმძულვარეა, ჩვენის აზრით, ვინემ სარწმუნაებრივი.

მაგრამ ვერაფერ ვერ გაამართლებს ჩვენს ხალხს, რომ, ამ სიმძულვილის გამო, ის მოჰყვეს და საცა წაატყდეს ურიას, სცარცვოს, სცემოს და გაგლიჯოს. მერაფერ ვერ გაამართლებს მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში თვითონ ჩვენი ხალხიც

თითქმის იმდენათვე დამნაშავენი ვართ, რამდენათაც თვითონ ურიებუნი ვართ. თუ ვაჭრობა და აღებ-მიცემა ურიების ხელში იყვას, თუ არ უნდათ, რომ ურიების სესხისა და ვალისაგან შეწუხებული იყვნენ, თვითონ ივაჭრონ უფრო პატიოსნად, ეცადონ და ნუ ჩაუვარდებიან იმათ ხელში, თვითონვე პატიოსანის შრომითა, ენერგიით და გამჭირახობით შეიძინონ ფული. მაღლობა ღმერთს, ჭკუა და მოხერხება ჩვენს ხალხს არ აკლია.

თორემ, აქაო, ვაჭარი ურები გვცარცვენო, და მოსისხლე მტერივით სიძულვილს უცხადებთ, საცა წაიწვიეთ, სცემთ, სცარცვავთ და სტანჯავთ, — ეს სადაური ლოლიკაა, სადაური სამართალია? ბანა ამ ნაირად საქმე გაკეთდება? ბანა ამ ნაირად ექსპლუატაციის მოსპობა შეიძლება? ბანა ყველა პრინციპს ტაში უნდა დაუკრათ ურიების ცარცვისა და მოკვლისათვის?!

რაც უნდა იყოს, იმედია, იმერეთის მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ურიების ასე ბარბაროსულად სდევნა ქრისტიანების მხრით. სად წავა საქმე, თუ ყველა ქრისტიანს ნება მიეცა, რომ დაუსჯელად სცარცვოს და სტანჯოს შარა გზაზე გამვლელ-გამომვლელი კაცი, თუნდაც ეს კაცი ურიაც იყოს?!

ს. მ.

„დროების“ კორექსიონდენცია

მუთაისი, 24 თბათვეს. მოგვხსენებათ, რომ მუთაისის ახალგაზღვრებამ აიღო მიზნათ მუთაისში ქართული სცენის გაუმჯობესება და მით აქ სამუდამო ქართული თეატრის დაარსება... ავერ თითქმის სრული რვა წელიწადია, რომ ისიქალს; სახელად ხატჯას, დაუდგა მოჯამაგირედ და ერთ ხანს ემსახურა.

25 წლისა იმ ხატჯამ ქმრად შეირთო

სამესხე-სათაბეგოს თავი გამოჩენილი გვარები არიან: ახალციხისა-ღიასამიძეები, აწყერისა—ჩიქულიანნი და მთერათი, ასპინძისა—შროდიანნი, სერთავისა—შალიკაშვილები, პარხალისა—ტაკასიძეები, აჭარისა—თავდგირიძეები, შოცხოვისა—ხურსიძე-ერისთავები, ჯაყისმისა—ჯაყელოები, სლესისა—სლესელები, ბორჯომისა—მელოშვილები, ბოკორაშვილები (თაქართა-ქარსიძენი), ოლადასვილნი, ბოგბაშვილები და მისთანანი.

მაჰმადისთანა ერთი უბრალო ბარბაროსი არაბისაგან რა და რა ენება-ობრებაები წარმოსდგა მთელ ქვეყანასთან ჩვენი ქვეყნისა!

არაბისტის იამანის მხარის ბედავი (ქურთ) არაბებში ბურეიშაინის ტომში იშობა მაჰმადი, მექქის ქალაქსა 570 წ. 5 წლისას მშობლები დაეხრცა და დაშთა 5 აქლემი და ერთი მოახლე გოგო. წარმოზრდისა ერთ მდიდარ ქვრივ

და ამ რიგობით სიმდიდრის პატრონი გახდა.

ამ დროს დაიწყო ამან საქმეები ხშირად ურიებთან და ქრისტიანებთან. ორსავესგან შეისწავლა სჯულ-კანონები, თვითანაც, რომ ნიჭიერი კაცი იყო, იწყო სჯა-ფიქრობა ახალი სჯულის გამოღებაზედ. არაბეთში იყო ქრისტიანობა, ურიობა, ცეცხლის მსახურება და კერპთმსახურება, რომლის უპირველესი სათაყვანო იყო აბრამის სახელობით განთქმული მექქის ტაძარი, რომლის საშველ ამართული იყო რაღაცა შავი ქვა; ამბობდნენ, ქვეყნის შუაგული ეს ქვა არისო და დიდის ხნის მოღმა მრავალის ადგილებითგან მოსრული მლოცველები ამ ქვას ემთხვეოდნენ, ცითან ჩამოვარდნილი არისო, ღვთის სიტყვაც ამის შუაგულში არისო და სხვაც მრავალ კერპთთაყვან სცემდნენ.

თვითან მაჰმადი კერპთ-ძრახურის შვილი იყო, მაგრამ ღვთის ცნობაზედ გო-



ნი თავ-გადადებით და უსასყიდლოდ შრომობენ ამ საქმისათვის; მაგრამ, სამწუხაროთ, ვერაულის საშუალებით ვერ მოიყვანეს, ცოტა-ოდენათ მაინც, სისრულეში ეს პატიოსანი მიზანი.

მიზეზი ამისა არის—საზოგადოების თანაუგრძნობელობა და მისგან შემწყობის მიუცემლობა ჩვენ დავრწმუნდით, რომ აქაური საზოგადოება ძლიერ ცოტათ თანაუგრძნობს ამ მიზანს და მათსადაც შემწყობის მიცემა ძლიერ ეზარება.—ქართულ თეატრში ხშირად ძალთ-მიყიდულ ბილეთებით მიდიან; ამის გამო შემოსავლის მაგიერად ხანდის-ხან მომეტებული გასავალი და ზარალი აქვს ხოლმე ჩვენ ბედკრულ სცენას.

ახლა გადავიდეთ ზოგიერთ გამგელ-გამომგელ უსინდისოთ ხალხის მცარცველებზე და მატყუარებზე.

ქართულ წარმოდგენებზე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თითქმის არავინ არ დადის და ამ უკანასკნელების წარმოდგენაზე ორი დღით წინ ბილეთსაც ვერ იშოვნის კაცი, ისე იტაცებენ ხოლმე. როდესაც ბილეთებს ვერ შოულობენ, მეტ ფულს აძლევენ და სკამების ჩაღმას ეხვეწებიან.

მაგალითად, მოვიდა ქეჩარდი; იმდენს ხანს იყო და თითქმის ყოველს ღამეს სავსე ჰქონდა ცირკი.

შემდეგ იმისა ჩამოვიდა თვალთ-მაქცი ბეკერი და მის წარმოდგენებზე და სულელულ ფოკუსებზე სამი დღით წინეთ ვეღარ შოულობდა კაცი ბილეთს, და აი ამნაირათ იმან ორი კვირის განმავლობაში წმინდა მოკება 4,000 მან. წაიღო!

უკანასკნელათ ერთი ვიღაც ჩამოვიდა, როგორც ეტყობა დიდი გამოცდილი ცუდლუტი და გაიძვრა, და დღეს 24-ს ამ თვეს ბულვარში სახალხო სეირნობა დანიშნა; აფიშებით შეგვიპირდა ჰაერში ჰაეროსტატის აშეებას; ბულვარში შესვლის ფასი 20 კაპ. იყო. იმდენი

ხალხი მოაწყდა, რომ სულის მოთქმა ძლიერ შეიძლებოდა სიმრავლით. დაღამებამდის ჩვენი პოლკის მუზიკით შეაქცია ხალხი და რვა საათზე საღამოს ჰაეროსტატის მაგიერათ რაღაც უბრალო ქალაქის ბურთი აუშვა ათ საქენზე, რომელიც იქვე ჩამოვარდა!.. ამნაირათ მოატყუილა საზოგადოება; თვითონ ბევრი ფული აიღო და ხალხი პირ-ღია დასტოვა.

ამისთანა უსინდისო მატყუარებთან და მცარცველებთან უფრო სიხარულით და ბლომით მიდის ჩვენი საზოგადოება, ვიდრე ქართულ თეატრში, რომლიდანაც სიამოვნებას გარდა, ცოტა რამ ზნეობითი სარგებლობის გამოტანაც შეიძლება.

უპოვებესი არ იქნებოდა, რომ თვალთ-მაქცი ბეკერების გატანებას ის ათასი მანეთები ჩვენ ქართულ სცენას დარჩენოდა, რომელიც სამუდამოთ სიამოვნების და სარგებლობის მომტანი იქნებოდა საზოგადოებისათვის?! მაგრამ ნამდვილად ნათქვამია ქართული ანდაზა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“. მგონებ, რადგანაც აქაურებს აქვთ ამ საქმეზე ხელი მოკიდებული, იმიტომ არაფრათ არ აგდებს ჩვენი საზოგადოება მათ და ისევე საუკეთესოთ სთვლიან უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი მატყუარების ჯიბების დატენას და საკუთარი საქმის უყურადღებოთ დატოვებას...

და რა უნდა ჰქნან სცენის მოყვარეთ როდესაც საზოგადოების თანაგრძნობას და შემწეობას ვერ ხედევენ და ამასთანავე არც რიგინი სცენა აქვთ? თითქმის ყოველ წარმოდგენისათვის სხვა-და-სხვა სახლებში გადააქვთ სცენა: სამეფო სახლიდან გიმნაზიის ზალაში გადაიტანეს, იქიდან—ცირკში. მართი სიტყვით კატის კნუტსავით დაათრევენ ამ საბრალო სცენას. ამ თრევაში სხვა-და-სხვა პატრონებიც გამოუჩნდა და ღამის სულ წაგვართვან დამპალი და დაკუწული ლუქა-ლუქა კულისები...

მხლა უფ. ხარაზოვი გვიჩვენებს უცხო ატრის აშენებას, და კიდევ ცუდ წყევლებს მაგრამ იმ თეატრისათვის სამუდამო ტრუპაა საჭირო და ამისთანა ტრუპა საზოგადოების დაუხმარებლობათ, არასოდეს არ შესდგება; ამისათვის უპოვებესი იქნება იმისთანა კაცებმა, რომლებიც მოსული აქტრისებისთვის (როგორც ბიჩურინასთვის) იწუხებენ თავს მთელი კვირაობით და ეხმარებიან მათ, ამ ჩვენ საკუთარ საქმისთვის სთქვან საზოგადოებაში ორიოდ სიტყვა და მით დაუღვან იმას საფუძველი...

ალ. მამრეკლოვი.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ინკლისურს გაზეთს „თაიმსში“ დაბეჭდილია სტამბოლიდან 14 ივნისს მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს იწერება:

„ხონთქარს მოუვიდა ამ დღეებში ხელ-მოუწერელი საიდუმლო წიგნი, რომელშიაც სწერენ, რომ გადადგეს ოსმალეთის ტახტიდან, რადგან ის კანონიერი ფაღიშა არ არის და რადგან რიგინად ვერ განაგებს ქვეყნის საქმეებს, თორემ ამ მოკლე ხანში მოგკლავთო.“

„სულთანს, როგორც ამბობენ, ძალიან შეეშინდა: იმ წამსვე მოიხიზო მთავარი ვეზირი ხაირედდინ-ფაშა და უჩვენა იმას ეს წიგნი. ხაირედდინ-ფაშა და აშოშმინა ხონთქარი, უთხრა, რომ ამისთანა წიგნები მეროპის ხელმწიფეებსანი ხშირად მოსდისთო, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენო. მეზირმა გამოართვა ხონთქარს ეს წიგნი და პოლიციას მიანდო გამოძიება.“

ნება გადებოდა. ამისთვის ჩაიდვა ფიქრში მოქცევა კერპთ-მსახურებისა და ცეცხლის მსახურთა თავის გამოგონილ უფრო ადვილ სჯულზედა.

რაც უფრო ესამოვნებოდათ, რაც უფრო მეტად სახალისო და სანატრელი იყო მისთანა ბარბაროსი ხალხისა, სჯულის პირველ საფუძველად ის აირჩია: ე. ი. ხორციელი შეება, ავზორცობის ნება, მრავალ-ცოლობა, წყლით განბანით (აზღასით) ყოველ ნაირი ცოდვების მიტეება-შენდობა; როგორც საქაოს შეება-განცხრომა იყო მათ უმთავრეს საგნად, ისე საიქიოს სამოთხის ბაღში დროების გატარება, მშვენიერ-მშვენიერი ფერებების (ჰურეფების) ცოლად შერთვა, მათთან ლხინი და სიხათული მოუკლებელი, უკვდავების მრავალ გვარი მათ-ვალ-მარგალიტული მადრეწებით გარდმოღვნილი ციფა წყაროები, ტკბილ-ტკბილი საჭმელები და მისთანა, რისაც მაძებარნი იყენენ! ამას დაუმატა მოსეს

სჯულითგან წინადაცვეთა და ღორის ხორცის უჭმელობა. მართლად რომ არაბეთისთანა ცხელ ქვეყნის მცხოვრებთათვის მანებელი იყო როგორც ღორის ხორცი, ისე ღვინო; არაყეულიცა აღუქრძალა.

ამგვარი ახალ რჯულობისათვის გაცალკეებული ცხოვრება დაიწყო. სწავლა-მარხულობას მისცა თავი; მალ-მალ მექქის მახლობლად სამი მილის სიშორეზედ მთის ქვაბში გაჯდებოდა წმინდა კაცისაგით და კვირის-კვირობით, თვეობით იყო ხმა დაეგდო თავისიანებში, როგორც თუ იმ ქვაბში ღმერთსა და მის ანგელოზებსა ელაპარაკებოდა; ქვეყნის სასარგებლოდ, სულის საცხონებლად ჯანათში.

15 წლის შემდგომ, ამბობენ მაჰმადიანები, ერთ ღამეს ლოცვაში გამოსჩენია ნათლოვანის სახით ბაბრიელ ანგელოზი, ხელთ ისლამის (რჯულის) წიგნი სჭერია, მიუწვადებია მაჰმადისათვის და

უთქვია: „აიღე, წაიკითხე ეს წიგნიო!“ მაჰმადს უპასუხებია მოწონებით, რომ „მე წიგნის კითხვა არ ვიციო.“ მაშინ ბაბრიელს ხელი უტაცუნია ქონორში, აუწვებია და სამჯერ დაუხლართებია დედამიწაზე; მერმე წამომდგარა ფეხზედ, უნახავს რომ კითხვა უსწავლია. ამ წიგნს შურანი ჰქვა, სხვა არა არის რა, თუ არ შრიების ღაბადებისაგან და მჭისტეს სახარებისაგან გამოკრებილი ნაწყვეტ-ნაწყვეტ უთავბოლო მირეულ-მორეული მოძღვარება. მს შურანი მაჰმადს კი არ დაუწერია, არამედ მის ნაცვალ აბუბეკერს შეუკრებინებია ვიღაცა საიდა მწერლის ხელითა, რომელიც დაწერილი ყოფილა სხვა და სხვა დროს, ცხვრის ტყავზედ, ხეხელაზედ, თეთრ ქვის ფიქლებზედ და ხურპის ფოთლებზედ, მეთრამეტე წელს მაჰმადის ჰიჯრათისა.

(მაგრძელება იქნება)



ამის გამო, სხვათა შორის, სტამბოლში დატუსაღეს გაზეთის „ბასი-რეტის“ გამომცემელი. მკვი აიღეს აგრეთვე არაბულ გაზეთის „მლ-ჰევაიბის“ რედაქტორზედ სელიმ-მჰენდი-ჩარისზე, რომელსაც პოლიცია დაესხა ღამე სახლის გასაჩხრეკად. მაგრამ ეს რედაქტორი მარჯვედ დაუხვდა: როცა ცა ზაფთიებმა დაუწყეს ამის კარებს რაკუნნი, ის წამოდგა ლოგინიდან, გააღო ფანჯარა და აქედამ დაუძახა იმათ: „თუ ხონთქარს რამე უნდა ჩემგან, რიგიანი კაცები გამოგზავნოს. ზაფთიებს მე ჩემ დღეში კარებს არ გაუღებ!“ პოლიციამ ვერ გაბედა ძაოის-დატანება და მეორე დღეს ვეზირს მოახსენეს ეს ამბავი, რომელმანც თავის აღიუტანტი გამოგზავნა რედაქტორის სახლის გაჩხრეკის დროს დასასწრებად. სანამ გაჩხრეკას შეუდგებოდნენ სელიმ-მჰენდი მოსთხოვა პოლიციის აფიცერს, რომ ჯერ იმან ამოალაგოს, რაც თან წიგნები და ქალღლები აქვს, რომ ჩემ ქალღლებში განგებ არა გაურიო-რაო... შემდეგ გაუჩხრეკეს სახლი, მაგრამ საცქიო და აღკრძალული ვერა უნახეს-რა.“

— რადგან ყველამ იცის, რომ მაჰმუდ-ნედიმ ფაშა რუსეთის მომხრეა, ამის გამო ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებს ვერ ეტაშნიკად იმის მოხმობა სტამბოლში მით უფრო, რომ ხმა გაეჟარდა მაჰმუდ-ნედიმ-ფაშა მთავარ ვეზირად ინიშნება ხაირედინ-ფაშის მაგიერათო. მაგრამ ხონთქარს უთქვამს ინგლისის ელჩის წყარდისთვის, რომ მაჰმუდ-ნედიმ ფაშა მთავარ ვეზირობისთვის არ დამიბარებია სტამბოლშიო, მოხუცებული კაცია და მსურსო, რომ უკანასკნელი წამი თავის სიცოცხლისა თავის სამშობლო ქალაქში გაატაროსო.

საფრანგეთი

პარიჟის მუნიციპალურმა რჩევამ (მა-

ლაქის ბამგეობამ) ერთს თავის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვიტა, მთავრობას სთხოვოს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის სახალხო დღეასწული დანიშნული იყო, მუდამ წელიწადს 14 ივლისს ე. ი. იმ დღეს, რა დღესაც ლიდო რევოლუციის დროს (1789 წ.) ბასტილის ციხე დაანგრიეს პარიჟში რევოლუციის ომერებმა.

— პარიჟის გაზეთებში იწერებია, რომ

ნაიმპერატორიცილი მეფენის მასაქეთ, რაც თავის შვილის სიკვდილი-მეტრეცხი დატენილამ არ ამდგარა და ძალიან ავით არისო. მქიმები ამბობენ, რომ იმის მორჩენა საეკოა შეიქნება, თუ ის დაესწრო იმ ცერემონიას, როდესაც ზუღულებსაგან მოკლულს იმის შვილს ლუი ნაპოლეონს მოასვენებენ ლონდონშიო.

მიხაილოვის ტენიკურ-რკინის გზის სასწავლებლის რჩევისაგან

„მიხაილოვის ტენიკურ-რკინის გზის სასწავლებლის მზრუნველი რჩევა“ ამით აცხადებს, რომ ვისაც ამ სასწავლებელში შესვლა ჰსურს, იმათთვის მისაღები ეგზამენები იქნება ამ წლის აგვისტოს 16-დამ ვიდრე 31-დინ. მხოვნა უნდა შეიტანონ სასწავლებლის შედამხედველის სახელობაზე (მორონცოვის წყლის-პირა ქუჩა, სასწავლებლის სახლი). თაონების მრება ივლისის 15-დამ დაიწყება და 10 აგვისტოს გათავდება. მხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქმნეს დაბადების (მეტრიკული) მოწმობა და აგრეთვე მოწმობა ყვავილის აცრისა.

ვისაც მოსამზადებელ კლასში შემავლა ჰსურს, იმას მოეთხოვება:

- სამღეთო წერილიდამ—უმთავრესი ლოცვები, რუსული ენიდამ—თავისუფლად წერა-კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვით თქმა, და
- არითმეტიკიდამ—პირველი ოთხი მოქმედება.

ვისაც პირველ სპეციალურს კლასში ჰსურს შემავლა, იმას მოეთხოვება:

- სამღეთო წერილიდამ—ძველი აღთქმა, რუსული ენიდამ—სინტაქსისი და ეტიმოლოგია, არითმეტიკიდამ—პრაპორციებამდინ, გეოგრაფიიდამ—პირველი წლის კურსი (სიმონოვის სახელმძღვანელოდამ) და რუსეთის ისტორიიდამ—რომანოვის სასახლემდინ.

მოსამზადებელ კლასში მიიღებიან ყმაწვილები 13 წლიდამ 16 წლამდინ; სპეციალურს კლასში კი 14 წლიდამ 18-მდინ. სწავლის ფასი წელიწადში—ერთი თუნანია. სასწავლებლების შაგირდებს შეუძლიანთ თვეში 4 მანეთად და 50 კაპ. აქვე (3—3) სკამონ სადილი.

რძ. გზა.	დღა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელერაში	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თვილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 22 ივნისს.		მრევის მო. დანზე
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქაკახისი აქეთა მხრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 20	სახლებში.
ბორი	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში	50	შქვ. წითელი	1 70	აგათმოფებს მიიღებენ ყოველ
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	შქრ. ფუთი	1 50	დღე დილის 9 საათიდან 1-დინ
სურამი	1 44		4 90	2 61	პეტერბურღს, მარშავს.	2	ბამბა მრევისისა, ფუთი.	8 20	მ რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და
ქვრილა	5 49		7 21	3 69	მსმალეოში, შვეიცარიაში.	3	— ამერიკისა, ფუთ.	9 50	მარლვეიჩი—შინიგ. ავთ., შიუნა-
რონი	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბენტალი ბამბა ფუთი.	10 70	იანც—ქალის ექიმი და საშე-
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ინგლისში.	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	8 20	ოსნოს ოპერაცები.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ფოჩტა		— მარაქამისა ფუთი	4 30	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში-
ფოთი	9 50		12 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		პბრეშუმ, ნუნტური სტ.	2 10	ნავ. ა. გახუტოვი—საბებიო და
ფოთი	9 3				რეთ, შეთაისს, რუსეთს—ყოველ		ქონი ფუთი	5 80	ბავშვ ს. პეტუნოვი—თვალის.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და		ქონის სანთელი ფუთი.	7 60	მ თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშევი შა-
სამტრედია	11 5		2 61	1 33	ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძა-		სტეარინის სანთელი ფ.	12 40	ნავანი ავთმოყოფობის.
რიონი	12 13		3 84	1 97	ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) შეთაი-		ხორცი ძროხისა. დიტრა	72	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში-
შვირილა	1 18	ღამე.	5 3	2 56	სილამ: თფილისისა და ფოთისაკენ—		— ცხვისა, ლიტრა	90	ნავ. შიურარაინცი—სიფილიტიკურ
სურამი	5 12		1 10 7 34	3 74	ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-		სპირტი ვეღრო	4 50	და საშარდვ ორგანების.
ხაშური	5 39		1 37 7 51	3 84	გეთს—ორშ. და პარასკ.		შაქარი ბროც. ფუთ.	7 10	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშევი—ში-
ბორი	7 5		4 8 9 24	4 73	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	— ფხვნილი ფუთი	5 70	ნავ. ა. ბანტოვი—საბებიო, ქა-
მცხეთა	8 50		6 59 11 39	5 82	და სამზღვარ გარეთ:		ქავა რგვლი გრვ.	65	ლისა და ბავშვების
თფილისი	9 31		7 6 12 24	6 26	ლია წიგნის	3	ხეთი ქუნჯუთისა ფუთი.	11 80	შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინავ., დ
					დავ ჭდლის (სამი მისხალი)	8	თამბაქო საშუალო ფთ.	6 50	პეტუნოვი თვალისა.